საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია - GSKNF

ს/კ 405562500

საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ნაკრების შერჩევის წესი

იურიდიული მისამართი: თბილისი, ს. კანდელაკის ქუჩა N 8ა, ბინა N 55.

მობ: +995 577 72 21 12

რედაქტირებული გამოცემა

გამოცემა	თარიღი	შეადგინა	რედაქცია	დამოწმება	აღწერა
A	იანვარი, 2023	ლაშა კოდუა გოგიტა არქანია ირაკლი ტყებუჩავა	ირაკლი ტყებუჩავა	თემური გიგნაძე თემური რამიშვილი ზურაბი ლეჟავა ოთარი გრძელიშვილი ჯამბულ კოდუა	მეორე გამოცემა

1 მიზანი

დოკუმენტის მიზანია ჩამოყალიბდეს ქვეყნის მაშტაბით კარატეს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ეროვნული ნაკრების შერჩევის სამართლიანი და გამჭვირვალე წესი.

2 ძირითადი პრინციპები

საქართველოს ნაკრების ჩამოყალიბება მოხდება დაგროვილი სარეიტინგო ქულების მიხედვით. ყოველ წელს განისაზღვრება თარიღი, როდესაც ქულები დაჯამდება და ნაკრების წევრების გამოვლენა მოხდება ავტომატურად, **დანართი 1**-ში მოცემულია შეჯიბრებების კატეგორიების მიხედვით ქულების სისტემა. ყოველი წლის დასაწყისში ქულების რაოდენობა ავტომატურად განახევრდება და სპორტსმენს გადაყვება შემდეგ წელს. ასევე დაგროვილი ქულები გაუნახევრდება იმ სპორტსმენს, რომელიც შეიცვლის კატეგორიას.

საქართველოს ნაკრები დაიყოფა A, B და C კატეგორიებად, ვინაიდან გასათვალისწინებელია გარკვეული ასაკობრივ და წონითი კატეგორიებში დაბალი კონკურენციის საკითხი და სპორტსმენების მომზადების დონე.

იმისათვის, რომ გამოირიცხოს ორაზროვნება სპორტსმენების A, B და C კატეგორიის ნაკრებებში დაყოფასთან დაკავშირებით, შემოღებულ იქნა შემდეგი წესი[1]:

- A კატეგორიის ნაკრები მიემგზავრება ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე, ასევე ევროპის თამაშებზე და პრემიერ ლიგაზე. იმისათვის, რომ სპორტსმენი მოხვდეს A კატეგორიის ნაკრებში აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს მინიმუმ მ-7 ადგილი მოპოვებული WKF-ის შემდეგ ტურნირებზე: სერია A, ახალგაზრდული ლიგა, პრემიერ ლიგა, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატი.
- B კატეგორიის ნაკრები მიემგზავრება სერია A-ზე და ახალგაზრდულ ლიგაზე. იმისათვის, რომ სპორტსმენი მოხვდეს B კატეგორიის ნაკრებში აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს მინიმუმ მ-7 ადგილი მოპოვებული WKF-ის საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც მოცემულია დანართი 2-ში
- C კატეგორიის ნაკრები მიემგზავრება WKF-ის საერთაშორისო ტურნირზე.

საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია ვალდებულია შერჩეული ნაკრების უკლებრივ ყველა წევრი (იგულისხმება ყველა კატეგორია) წაიყვანოს შესაბამისი კატეგორიის შეჯიბრებაზე წელიწადში ერთხელ მაინც, რათა მოხდეს კარატეს დონის ამაღლება და ყველა კატეგორიის სპორტსმენებისთვის ხელშეწყობა.

[1] A, B და C კატეგორიის ნაკრებების ჩამოყალიბება განხორციელდება წელიწადში ერთხელ საქართველოს ჩემპიონატზე. მოცემული კატეგორიის ნაკრებების მინიმუმ ერთ საერთაშორისო ტურნირზე წაყვანას უზრუნველყოფს ფედერაცია

ყოველი წლის დეკემბრის თვეში დამტკიცდება შემდეგი წლის შეჯიბრებების კალენდარი, რომელიც გამოქვეყნდება საჯაროდ ყველა კლუბისთვის. 2023 წლის კალენდარი მოცემულია **დანართი 2**-ში.

აღნიშნული პრინციპები მოქმედებთ ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე. პრეტენდენტი სპორტსმენებისთვის სავალდებულოა www.sportlab.ge ვებგვერდზე დარეგისტრირება, რადგან ქულების აღრიცხვა განხორციელდება მხოლოდ ამ პლატფორმის საშუალებით.

2.1 იუნორი, კადეტი და 21 წლამდე სპორტსმენებისთვის[2]

2024 წლის ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატისთვის ქულების შეჯამება დასრულდება 2023 წლის 23 დეკემბერს. მოცემული თარიღისთვის შესაბამის კატეგორიაში რომელ სპორტსმენსაც ყველაზე მეტი ქულა ექნება ავტომატურად იქნება შერჩეული ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატისთვის.

ასევე www.sportlab.ge ვებგვერდის მეშვეობით გაკონტროლდება სპორტსმენების ასაკი. ასაკის ცვლილების შემთხვევაში სპორტსმენს გადაყვება დაგროვილ ქულათა ნახევარი.

2.2 უფროსი ასაკის სპორტსმენებისთვის

2023 წლის უფროსების მსოფლიო ჩემპიონატისთვის ქულების შეჯამება დასრულდება 2023 წლის 10 ოქტომბერს. მოცემული თარიღისთვის შესაბამის კატეგორიაში რომელ სპორტსმენსაც ყველაზე მეტი ქულა ექნება ავტომატურად იქნება შერჩეული უფროსების მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

3 ნაკრების ვარჯიშები და შეკრებები

ფედერაციის ორგანიზებით მოეწყობა ნაკრების შეკრებები და ღია ვარჯიშები. მოცემული ვარჯიშების გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე აისახება სპორტსმენის ნაკრებში მოხვედრაზე და მის დაფინანსებაზე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე.

[2] მსოფლიო კარატეს 2023 წლის იუნორ, კადეტების და 21 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეები შეირჩევა ერთი შეჯიბრის მიხედვით, რომელიც გაიმართება 2023 წლის იანვრის თვეში

დანართი 1

	ქულების სისტემა						
#	შეჯიბრებების კლასიფიკაცია	I	II	III	V	VII	რეგისტრ.
1	სსკეფ-ის წევრი კლუბების მიერ ორგანიზებული ღია ტურნირები	60	40	30	20	10	5
2	სსკეფ-ის მიერ ორგანიზებული B კლასის საერთაშორისო ტურნირები	100	70	50	30	20	10
3	სსკეფ-ის მიერ ორგანიზებული A კლასის საერთაშორისო ტურნირები	150	100	70	50	30	15
4	სსკეფ-ის მიერ ორგანიზებული საქართველოს ჩემპიონატი	1000	500	300	100	50	30
5	საერთაშორისო ტურნირი	300	200	150	100	50	30
6	WKF-ის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატი - ახალგაზრდული ლიგა	500	400	300	200	150	100
7	WKF-ის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატი - სერია A	500	400	300	200	150	100
8	WKF-ის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატი - პრემიერ ლიგა	1000	500	300	100	50	30
9	WKF-ის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი	1000	500	300	100	50	30
10	WKF-ის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატი	2000	1000	500	300	200	30
11	WKF-ის მიერ ორგანიზებული ევროპის ჩემპიონატი უფროსებში	1500	1000	500	300	100	30
12	WKF-ის მიერ ორგანიზებული მსოფლიო ჩემპიონატი უფროსებში	2000	1000	500	300	200	30
13	IOC -ის მიერ ორგანიზებული ევროპის თამაშები	2000	1000	500	300	200	30
14	IOC -ის მიერ ორგანიზებული ოლიმპიური თამაშები	2000	1000	500	300	200	30

დანართი 2

	2023 წლის სსკეფ-ის ღონისძიებების ოფიცალური კალენდარი			
თარიღი	**ღონისძიება**	**ადგილმდებარეობა**	**კატეგორია**	**წაკრები**
13-15 იანვარი	სერია ა	საბერძნეთი, ათენი	უფროსები	A
21-22 იანვარი	საერთაშორისო ტურინი	ესტონეთი ან აზერბაიჯანი	ბავშვები, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A/B/C
27-29 იანვარი	პრემიერ ლიგა	ეგვიპტე, კაირო	უფროსები	A
3-5 თებერვალი	ევროპის ჩემპიონატი იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	კვიპროსი, ლარნაკა	ბავშვები, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A
19 თებერვალი	საქართველოს ჩემპიონატი	საქართველო, თბილისი	იუნორ, კადეტები და უფროსები	A
24-26 თებერვალი	ახალგაზრდული ლიგა	ფუჯეირა დუბაი	12-13, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A/B
10-12 მარტი	სერია ა	თურქეთი კონია	უფროსები	A/B
22-26 მარტი	ევროპის ჩემპიონატი უფროსებში	გუადალახარა ესპანეთი	უფროსები	A
1-2 აპრილი		საქართველო, თბილისი	ბავშვები	A/B/C
23 აპრილი	ქუთაისის ღია ჩემპიონატი	საქართველო ქუთაისი	ყველა ასაკი	A/B/C
12-14 მაისი	პრემიერ ლიგა	მაროკო, რაბათი	უფროსები	A
20-21 მაისი	OPEN GEORGIA	საქართველო, თბილისი	ყველა ასაკი	A/B/C
4 ივნისი	ახალქალაქის ღია ტურნირი	საქართველო, ახალქალაქი	ბავშვები	A/B/C
26-29 ივნისი	შეკრება	ხორვატია	12-13, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A/B/C
30 ივნისი	ახალგაზრდული ლიგა	ხორვატია	12-13, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A/B/C
1-16 ივლისი	შეკრება	ბათუმი/ქობულეთი	ყველა ასაკი	A/B/C
1-16 ივლისი	Batumi Open	ბათუმი	ყველა ასაკი	A/B/C
1-16 ივლისი	მწვრთნელთა გადამზადება	ბათუმი	ყველა მწვრთნელი	
26-27 აგვისტო		საქართველო	ბავშვები	A/B/C
8-10 სექტემბერი	პრემიერ ლიგა	ირლანდია, დუბლინი	უფროსები	A
16 სექტემბერი	ბაზელ ოფენი ან ბუდაპეშტ ოპენ	შვეიცარია/უნგრეთი	ბავშვები, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A/B
29 სექტემბერი	სერია ა	კვიპროსი, ლარნაკა	უფროსები	A/B
6 ოქტომბერი	პოლონეთის გრანპრი	პოლონეთი	ბავშვები, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A/B/C
24-29 ოქტომბერი	მსოფლიო ჩემპიონატი	უნგრეთი, ბუდაპეშტი	უფროსები	A
4 ნოემბერი	კასპის ღია ტურნირი	საქართველო, კასპი	ბავშვები და უფროსები	A/B/C
11 ნოემბერი	მცხეთის ღია ტურნირი	საქართველო, მცხეთა	ბავშვები	A/B/C
24-26 ნოემბერი	სერია ა	პორტუგალია მატოშიჰო	უფროსები	A/B
8-10 დეკემბერი	ახალგაზრდული ლიგა	იტალია, ვენეცია	12-13, იუნორ, კადეტები და 21 წლამდე	A/B
23 დეკემბერი	საახალწლო ტურნირი	საქართველო, თბილისი	ყველა ასაკი	A/B/C
უფროსები	18 წლის და ზემოთ			
იუნიორი	16-17 წლის			
კადეტი	14-15 წლის			
ბავშვები	6 დან 14 წლამდე			